

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 34 00  
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა;

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა, (34 01).

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი, ტერიტორიული ორგანოები.

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა (ათას ლარებში)	წლიური დაზუსტებული მოცულობა (ათას ლარებში)	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათას ლარებში)	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	6 934.0	7 350. 8	4 661.8	63.4%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მობილურობის ცენტრმა მომსახურება გაუწია 205-მდე დაბრუნებულ მიგრანტს. მათ შორის: 25-მდე ბენეფიციარს გაეწია კონსულტაცია საქართველოში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, 62 ბენეფიციარმა გაიარა ტრენინგი ბიზნეს გეგმის შემუშავების შესახებ, პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 49 ბიზნეს პროექტი, 18 ბენეფიციარს დაუფინანსდა პროფესიული გადამზადების ტრენინგი,

21 ბენეფიციარს გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, პროექტის ფარგლებში დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იყო 6 ბენეფიციარი.

საანგარიშო პერიოდში ფოთში, სენაკში, წალენჯიხასა და ზუგდიდში სამინისტრომ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან თემაზე „უსაფრთხო მიგრაციის ხელშეწყობა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეები“, სადაც სამინისტროს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანამშრომლებმა ისაუბრეს მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესახებ, ასევე პრევენტივის სახით მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სამინისტროში არსებული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის შესახებ, რომელიც ეხება ევროკავშირის ქვეყნებიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციას.

მინისტრის 2013 წლის 6 ივნისის N123 ბრძანებით სამინისტროში შექმნილია კომისია, რომლის შემადგენლობაშიც სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებული არიან: დანიის ლტოლვილთა საბჭო, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბორჯღალი“, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. კომისიამ მოამზადა საქართველოს კანონის პროექტი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ“, რომელიც კანონი განსაზღვრავს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა უფლებებს, მათი სამართლებრივი, ეკონომიკური დაცვის გარანტიებს.

სტიქიით დაზარალებული განსახლებელი ოჯახების შესარჩევად გამოცხადდა განაცხადების მიღება. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მომართა 1786 ოჯახმა, რომელთაგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ამავე ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ შერჩეული იქნა 33 ოჯახი. ამ ოჯახებს მიეცათ ერთთვიანი ვადა, რათა მათი საჭიროებების გათვალისწინებით მოემდებნათ საცხოვრებელი სახლი და წარმოედგინათ სამინისტროში. ამ ეტაპზე ოჯახების უმეტესობამ წარმოადგინა მოძიებული სახლები, რომლებიც ტექნიკური მდგომარეობისა და საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით გადაეგზავნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში განსახილველად შემოვიდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა 674 აპლიკაცია 1354 პირზე. 2013 წელსა და საანგარიშო პერიოდში შემოსული აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 35 პირს, 8 პირს შეუწყდა ჰუმანიტარული სტატუსი, ხოლო ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 18 პირს და ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე 180 პირს განეცხადა უარი.

საანგარიშო პერიოდში შევსებულია დევნილთა უძრავის ქონების 31 დეკლარაცია. მოხდა 100 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა, არქივში

დაცულ 500 დეკლარაციებში დოკუმენტების ჩამატება, ასევე დევნილთა ქონებრივი დეკლარაციების ბაზაში გადამოწმდა 10 265 დეკლარაცია. მიმდინარეობს უძრავი ქონების დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ინტეგრაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების შესწავლა-შეჯერება და დევნილთა მონაცემთა ბაზასთან ინტეგრაციის პროცესი.

მარტყოფში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განხორციელდა ობიექტის დაცვის მომსახურების შესყიდვა და დაფინანსდა ცენტრის კომუნალური ხარჯები. ასევე თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების განხილვის უზრუნველსაყოფად განხორციელდა თარჯიმნის მომსახურების შესყიდვა.

**1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, (34 02).

**პროგრამის განმახორციელებელი:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	41 066.0	39 557.1	6 413.5	16.2%

**საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:**

კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები. ფულადი დახმარება გაეწია 2 682 დევნილს. სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან და უკიდურესად გაჭირვებულ 424 ოჯახს საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით, გაეწიათ ფინანსური დახმარება (ყოველთვიურად ოჯახზე 200-დან 300 ლარამდე).

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში მიმდინარეობს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რომლის ფარგლებში აღწერა ჩატარდა 80-ობიექტში, აღწერილ იქნა 2 400-მდე ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე საქართველოს

მთავრობის განკარგულება გამოიცა 2 129 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები დაურეგისტრირდა 1 529 ოჯახს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, დევენილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია და გადაყვანილ იქნა 712 დევენილი ოჯახი: თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში, თეთრიწყაროში, ზესტაფონში, ბათუმში, ზუგდიდში, ვანში, თერჯოლაში, წყალტუბოში, ზესტაფონში, ხაშურსა და ქარელში.

რეაბილიტირებულ ობიექტებში დევენილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე განხორციელდა ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა.

სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 51 ობიექტს ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით.

დევენილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, შეძენილ იქნა ქ. თბილისში, დაბა წყნეთში გურამიშვილის ქ. N3 მდებარე კორპუსის მე-2 სართულზე 3 ბინა, ქ.თბილისში, დაბა წყნეთში გურამიშვილის ქ. N7 მდებარე შენობა-ნაგებობა N1-დან N8-ის ჩათვლით, ქ.თბილისში, დაბა წყნეთში გურამიშვილის ქ. N7 მდებარე შენობა N1 წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობით, ქ.თბილისში, აეროდრომის XI ქ. N5 მდებარე შენობა-ნაგებობის I, II, III სართულები და ნახევარსარდაფი, ქ. ზუგდიდში, სოფელ ჭითაწყაროში 1 და თეთრიწყაროს რ-ნი სოფელ პატარა ირაგაში 1 საცხოვრებელი სახლი.

რეაბილიტირებულ შენობებში განხორციელდა ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა.

დასრულდა სამტრედიის რ-ნში, სოფ. დიდ ჯიხაში დევენილთა 2 საცხოვრებელ კორპუსში, სოფელ მუხათწყაროში ორსართულიანი შენობის, ქ.თბილისში: კაიროს ქ. N26-ში, დიდი დიდმის მე-4 მ/რ -ის კორპ. N13-ში, ძმ. გარიშვილების ქ. N7-ში, ბელიაშვილის ქ. N 5-ში, დიდმის მასივის მე-6 კვარტლის მე-18 კორპუსში, წერეთლის გამზ. N139-ში, გმირ კურსანტთა N5-ში, ქინძმარაულის ქ. N12-ში, ჯავახეთის ქ. N68-ში, წყნეთი, „ა“ ზონაში ( კოტეჯი N14ა), ქ.ონში, ბააზოვის ქ. N1-ში, ქ. ტყიბულში, გამსახურდიას ქ. N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარეობს ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი N14-ში, ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113-ში, ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ.#38-ში, მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.